# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 678

29 დეკემბერი 2022 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა №5, №5ა, №9-ში, მოსკოვის გამზირ №31 ა-ში, (ნაკვეთი №7/29), (ნაკვეთი №7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ.07/041) , არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.17.11.007.019; №01.17.11.007.602; №01.17.11.007.009; №01.17.11.007.006; №01.17.11.007.008; №01.17.11.007.036; №01.17.11.007.007; №01.17.11.007.054; №01.17.11.007.055; №01.17.11.007.065) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 28 დეკემბრის №22.2046.2246 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა №5, №5ა, №9-ში, მოსკოვის გამზირ №31 ა-ში, (ნაკვეთი №7/29), (ნაკვეთი №7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ.07/041) , არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.17.11.007.019; №01.17.11.007.602; №01.17.11.007.009; №01.17.11.007.006; №01.17.11.007.008; №01.17.11.007.036; №01.17.11.007.007; №01.17.11.007.054; №01.17.11.007.055; №01.17.11.007.065) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული №01223342-67 (№01223544-67; №01223611489-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. წინამდებარე განაშენიანების რეგულირების გეგმა მტკიცდება იმ პირობით, რომ აღნიშნული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი ძალაში შევა, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე საპროექტო არეალში შემავალი ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში

3. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

**განკარგულება - N 22.2046.2246**
**28 / დეკემბერი / 2022 წ.**

**ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა N5, N5ა, N9-ში, მოსკოვის გამზირ N31 ა-ში (ნაკვეთი N7/29), (ნაკვეთი N7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ.07/041), არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.007.019; N01.17.11.007.602; N01.17.11.007.009; N01.17.11.007.006; N01.17.11.007.008; N01.17.11.007.036; N01.17.11.007.007; N01.17.11.007.054; N01.17.11.007.055; N01.17.11.007.065) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 30 ნოემბერს N01223342-67 (N01223544-67; N01223611489-67) განცხადებით მიმართა ირაკლი მერმანიშვილმა (პ/ნ 60002001173) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა N5, N5ა, N9-ში, მოსკოვის გამზირ N31 ა-ში, (ნაკვეთი N7/29), (ნაკვეთი N7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ.07/041), არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.007.019; N01.17.11.007.602; N01.17.11.007.009; N01.17.11.007.006; N01.17.11.007.008; N01.17.11.007.036; N01.17.11.007.007; N01.17.11.007.054; N01.17.11.007.055; N01.17.11.007.065) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა N5, N5ა, N9-ში, მოსკოვის გამზირ N31 ა-ში, (ნაკვეთი N7/29), (ნაკვეთი N7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ.07/041), არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.007.019; N01.17.11.007.602; N01.17.11.007.009; N01.17.11.007.006; N01.17.11.007.008; N01.17.11.007.036; N01.17.11.007.007; N01.17.11.007.054; N01.17.11.007.055; N01.17.11.007.065) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 29 423 კვ.მ. აქედან, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობია 27 337 კვ.მ, ხოლო, დაურეგისტრირებელი ტერიტორიის- 2086 კვ.მ.

საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება გეგმარების შემზღუდავი ზონირებები. კერძოდ: თვითმფრინავის ასაფრენი ზოლის შეზღუდვის არეალი, სადაც შენობა-ნაგებობების დასაშვები ზღვრული აბსოლიტური სიმაღლე, ზღვის დონიდან განსაზღვრულია 595; 605 მეტრით. ასევე, რკინიგზის 30 მეტრიანი შეზღუდვის არეალი; სს „თელასის" მიერ დადგენილი 15 მეტრიანი შეზღუდვის არეალი; წყალმომარაგების მილის 5 მეტრიანი შეზღუდვის არეალი.

სამშენებლო ტერიტორიის დაგეგმარებისას გათვალისწინებულ იქნა არსებული შეზღუდვები, ასევე, მოქმედი რეგულაციებიდან გამომდინარე, წარმოდგენილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დადებითი პოზიცია და შეთანხმებული გენგეგმა (MIA 8 22 03563381 - 16/12/2022).

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7

ოქტომბრის N547 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ტერიტორია განვითარდება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

შენობის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

ნაკვეთი B1 - სზ-6 – 16 049 კვ.მ.

კ-1= 0,5 – 8 025 კვ.მ.

კ-2= 2.5 – 40 125 კვ.მ.

კ-3= 0,3 – 4 815 კვ.მ.

სამი 15 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებლი სახლი

მაქსიმალური სიმაღლე - 50 მ + 1 სართული და მიწისქვეშა ავტოსადგომი.

ნაკვეთი B2 - სზ-6 – 4 281 კვ.მ.

კ-1= 0,5 – 2 140 კვ.მ.

კ-2= 2.5 – 10 705 კვ.მ.

კ-3= 0,3 – 1 285 კვ.მ.

დაშვებულია, როგორც არსებული საოფისე შენობის რეკონსტრუქცია, ასევე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6) დასაშვები სხვა სახეობების განთავსება.

მაქსიმალური სიმაღლე - 50 მ + 1 სართული და მიწისქვეშა ავტოსადგომი.

ნაკვეთი B3 - სზ-6 – 3 732 კვ.მ.

კ-1= 0,5 – 1 866 კვ.მ.

კ-2= 2,5 – 9 330 კვ.მ.

კ-3= 0,3 – 1 120 კვ.მ.

ერთი 12 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებლი სახლი

მაქსიმალური სიმაღლე - 50 მ + 1 სართული და მიწისქვეშა ავტოსადგომი.

ნაკვეთი B4 - სზ-6 – 2 127 კვ.მ.

კ-1= 0,5 – 1 065 კვ.მ.

კ-2= 2,5 - 5 320 კვ.მ.

კ-3= 0,3 - 638 კვ.მ.

ერთი 12 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებლი სახლი

მაქსიმალური სიმაღლე - 50 მ + 1 სართული და მიწისქვეშა ავტოსადგომი.

ნაკვეთი B5 - სზ-6 - 1 148 კვ.მ.

კ-1= 0,5 - 574 კვ.მ.

კ-2= 2,5 - 2 870 კვ.მ.

კ-3= 0,3 - 345 კვ.მ.

ერთი 9 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებლი სახლი

მაქსიმალური სიმაღლე - 50 მ + 1 სართული და მიწისქვეშა ავტოსადგომი.

ნაკვეთი B6 - ტზ-1 - 445 კვ.მ.

კ-1= -

კ-2= -

კ-3= 0,1 - 44,5 კვ.მ.

საავტომობილო გზა

ნაკვეთი B7 - ტზ-1 - 703 კვ.მ. სზ-6 - 223 კვ.მ.

სზ-6

კ-1= 0

კ-2= 0

კ-3= 0,3 - 69,9

ტზ-1

კ-1= -

კ-2= -

კ-3= 0,1 - 70,3 კვ.მ.

საავტომობილო გზა

705 კვ.მ. დაურეგისტრირებელი სივრცე - ტზ-1.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და $5^1$ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 28 დეკემბრის N01223622383 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 28 დეკემბრის N0122362605 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა N5, N5ა, N9-ში, მოსკოვის გამზირ N31 ა-ში, (ნაკვეთი N7/29), (ნაკვეთი N7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ.07/041), არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.007.019; N01.17.11.007.602; N01.17.11.007.009; N01.17.11.007.006; N01.17.11.007.008; N01.17.11.007.036; N01.17.11.007.007; N01.17.11.007.054; N01.17.11.007.055; N01.17.11.007.065) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ემუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01223342-67 (N01223544-67; N01223611489-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა N5, N5ა, N9-ში, მოსკოვის გამზირ N31 ა-ში, (ნაკვეთი N7/29), (ნაკვეთი N7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ.07/041) , არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.007.019; N01.17.11.007.602; N01.17.11.007.009; N01.17.11.007.006; N01.17.11.007.008; N01.17.11.007.036; N01.17.11.007.007; N01.17.11.007.054; N01.17.11.007.055; N01.17.11.007.065) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

წერილის ნომერი: **01223622383**
თარიღი: **28/12/2022**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 27 დეკემბრის №01223611489-67 და 28 დეკემბრის №19/0122362994-18 განცხადებები, რომლებიც ეხება ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.17.11.007.019, 01.17.11.007.054, 01.17.11.007.065, 01.17.11.007.009, 01.17.11.007.036, 01.17.11.007.006, 01.17.11.007.008, 01.17.11.007.055, 01.17.11.007.007, 01.17.11.007.602 და დაურეგისტრირებელი ტერიტორია; საპროექტო ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნებში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **50 ძირი მწვანე ნარგავი (ს/კ 01.17.11.007.006:** №5;8; 9; 10; 61;73; 76; 80; 83; 92; 108; 113; 114; 29; 75; 4; 74; 24; 57; 59; 70;118; **ს/კ 01.17.11.007.007:** №9; 18; 19; 20; 21; **ს/კ 01.17.11.007.008:** №7; 8; 31; 32; 33; 35; 2; 30; ს/კ 01.17.11.007.019: №5; 9; 23; 27; 40; 6; 26; **ს/კ 01.17.11.007.036:** №24; 28; 29; 4; 25; ს/კ 01.17.11.007.065: №6; **ს/კ 01.17.11.007.602:** №3; **დაურეგისტრირებელი ტერიტორია ს/კ: 01.17.11.007.036 და 01.17.11.007.006** შორის - №5) განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11- 58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და არცერთი მათგანის დიამეტრი არ აღემატება 12 სმ-ს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

დამატებით გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი **36 ძირი ხემყრალა (ს/კ 01.17.11.007.006:** №46; 48; 51; 53; 54; 55; 56; 58; 60; 62; 63; 64; 65; 67; 68; 69; 71; 116; ს/კ **01.17.11.007.007:** №2; 3; 5; 6; 10; 12; 13; 14; 16; 17; **ს/კ 01.17.11.007.008:** №20; 21; 23; 25; 27; ს/კ **01.17.11.007.019:** №25; **ს/კ 01.17.11.007.055:** №3; 7) მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი/ხმობადი/ავარიული ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **10 ძირი ზეხმელი/ავარიული (ს/კ 01.17.11.007.006:** №1; ს/კ **01.17.11.007.007:** №22; **ს/კ 01.17.11.007.019:** №7; **ს/კ 01.17.11.007.036:** №11; 30; 33; 27; 31; 32; **დაურეგისტრირებელი ტერიტორია ს/კ: 01.17.11.007.036 და 01.17.11.007.065** შორის: №10) მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნებში აღწერილი **62 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს** და ექსპერტის მიერ

დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული 62 ძირი (ს/კ **01.17.11.007.006:** ხემყრალა - №86; 102; 104; 106; 111; იფანი - №105; თუთა- №23; 72; 101; 103; 110; 112; 117; ვერხვი - №109; აკაკი - №25; 26; 27; 28; ს/კ **01.17.11.007.007:** ხემყრალა - №1; 4; 7; 8; თუთა - №11; ს/კ 01.17.11.007.008: ხემყრალა - №9; 17; 19; 22; 26; 28; 29; იფანი - №10; 11; 13; 14; 15; გლედიჩია- №18; თუთა - №6; კაკალი - №16; ს/კ **01.17.11.007.009:** იფანი - №6; ს/კ 01.17.11.007.019: ნეკერჩხალი - №29; 30; 39; ხემყრალი - №24; 36; იფანი - №31; 32; 42; კელრეუტერია - №38; თუთა - №8; 28; 33; 34; 35; 37; 41; ს/კ 01.17.11.007.055: თუთა - №1; ს/კ 01.17.11.007.065: ხემყრალი -№7; 8; 9; თუთა - №11; **ს/კ 01.17.11.007.602:** №4; 5) მწვანე ნარგავი, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში **აღწერილი 10 ძირი (ს/კ 01.17.11.007.006:** ვერხვი - №107; **ს/კ 01.17.11.007.008:** №3; 24; 34; ს/კ **01.17.11.007.019:** კედარი- №1; 2; **ს/კ 01.17.11.007.065:** ხემყრალი - №10; **ს/კ 01.17.11.007.602:** №4; 5; **დაურეგისტრირებელი ტერიტორია ს/კ: 01.17.11.007.036 და 01.17.11.007.006 შორის -** №25) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მათზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარაგავების რაოდენობა (**არსებული/გადასარგავი:** 214 ძირი მწვანე ნარგავი და **საპროექტოდ დასარგავი:** 4 ძირი იაპონური კვიდო, 12 ძირი ოლეანდრი, 4 ძირი წყავი, 6 ძირი არღავანი, 6 ძირი ირმის რქა, 23 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 13 ძირი ორნაკვთიანი გინგკო, 73 ძირი კვიდო (ხე), 13 ძირი ამბრის ხე, 17 ძირი მარადმწვანე მუხა, 19 ძირი ცაცხვი, 10 ძირი სოჭი, 36 ძირი ჰიმალაის კედარი, 9 ძირი ვერცხლისფერი ნაძვი, 33 ძირი იტალიური ფიჭვი; **ჯამში - 492 ერთეული)** სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (ნაკვეთი B-1 - 4900.2 კვ.მ, ნაკვეთი B-2 - 1286.5 კვ.მ, ნაკვეთი B-3 - 1132.4 კვ.მ, ნაკვეთი B-4 - 639.9 კვ.მ, ნაკვეთი B-5 - 344.9 კვ.მ; კვ.მ, ნაკვეთი B-7 - 232 კვ.მ; (B-6 და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის კ-3 ფართობები გადანაწილებულია სხვადასხვა ნაკვეთზე) **ჯამში - 8 535.9 კვ.მ.).**

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს ხაზობრივი ნაგებობების გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, **თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.**

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **0122362605**
თარიღი: **28/12/2022**

2022 წლის 20 დეკემბრის N 01223544-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩასა და მოსკოვის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.17.11.007.009, 01.17.11.007.019, 01.17.11.007.055, 01.17.11.007.054, 01.17.11.007.065, 01.17.11.007.036, 01.17.11.007.006 და სხვა) მრავალბინიანი საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა დაგეგმილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შესაბამის თანხმობის წერილებთან ერთად.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2022 წლის 4 ოქტომბრის N 01222773430-67 განცხადების პასუხად N 01222783324 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი




მიწის ნაკვეთების სიმრავლის გამო არსებული და საპროექტო მიწის ნაკვეთების ნახაზების ერთმანეთზე გადადებით მიღებული ნახაზის წაკითხვა შეუძლებელი ხდება, შესაბამისად საპროექტო განაწილების გეგმა წარმოდგენილია ცალკე ნახაზის სახით

| # | მიწის ნაკვეთების გადამიჯვნის ცხრილი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსებული საკადასტრო მონაცემები | | | მონაცემები გრგ-ს მიხედვით | | |
| 2 | კოდი | | ფართობი | კოდი | ფართობი | ქვეზონები |
| 3 | 01.17.11.007.019 | A-1 | 6440 | B-1 | 16049 | საცხოვრებელი კორპუსები და გამწვანება |
| 4 | 01.17.11.007.009 | A-2 | 2662 | | | |
| 5 | 01.17.11.007.065 | A-3 | 1646 | | | |
| 6 | 01.17.11.007.055 | A-4 | 889 | | | |
| 7 | 01.17.11.007.054 | A-5 | 20 | | | |
| 8 | 01.17.11.007.602 | A-6 | 4392 | | | |
| 9 | 01.17.11.007.036 | A-7 | 4281 | B-2 | 4281 | [illegible] |
| 10 | 01.17.11.007.006 | A-8 | 3732 | B-3 | 3732 | საცხოვრებელი კორპუსები |
| 11 | 01.17.11.007.008 | A-9 | 2127 | B-4 | 2127 | საცხოვრებელი კორპუსები |
| 12 | 01.17.11.007.007 | A-10 | 1148 | B-5 | 1148 | საცხოვრებელი კორპუსები |
| 13 | დაურეგისტრირებელი | | 2085 | B-6 | 445 | [illegible] |
| | | | | B-7 | 936 | [illegible] |
| | | | | დაურეგისტრირებელი | 705 | [illegible] |
| | რეგისტრირებული | | 27,337 | დაურეგისტრირებელი | 2086 | ჯამი 29423 |

## პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორია
- საპროექტო მიწის ნაკვეთები
- მიმდებარე მიწის ნაკვეთები
- საპროექტო შენობა ნაგებობის შესაძლო განთავსების არეალები
- საზოგადოებრივი სივრცეები
- პირობითი საპროექტო არეალი
- კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები
- დაურეგისტრირებელი ტერიტორიები 2 085 კვ.მ.
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები

| ნახაზის სახელწოდება | შენიშვნა | პროექტის მონაცემები |
|---|---|---|
| არსებული მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა | | პროექტის სახელწოდება: საცხოვრებელი კომპლექსი |
| | | მისამართი: ქ.თბილისი გიორგი მდივანის ქუჩა |

| ფორმატი | მასშტაბი | |
|---|---|---|
| A 2 | 1:700 | N |
| ფურცლები | ფურცელი | |
| 86 | 78 | |

A3 Architects
Urban planning & Architecture

12.2022




| # | მიწის ნაკვეთების გადამიჯვნის ცხრილი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსებული საკადასტრო მონაცემები | | | მონაცემები გნგ-ს მიხედვით | | |
| 2 | კოდი | | ფართობი | კოდი | ფართობი | ქმედებები |
| 3 | 01.17.11.007.019 | A-1 | 6440 | B-1 | 16049 | საზღვრების კორექტირება და გაერთიანება |
| 4 | 01.17.11.007.009 | A-2 | 2662 | | | |
| 5 | 01.17.11.007.065 | A-3 | 1646 | | | |
| 6 | 01.17.11.007.055 | A-4 | 889 | | | |
| 7 | 01.17.11.007.054 | A-5 | 20 | | | |
| 8 | 01.17.11.007.602 | A-6 | 4392 | | | |
| 9 | 01.17.11.007.036 | A-7 | 4281 | B-2 | 4281 | უცვლელი |
| 10 | 01.17.11.007.006 | A-8 | 3732 | B-3 | 3732 | საზღვრების კორექტირება |
| 11 | 01.17.11.007.008 | A-9 | 2127 | B-4 | 2127 | საზღვრების კორექტირება |
| 12 | 01.17.11.007.007 | A-10 | 1148 | B-5 | 1148 | საზღვრების კორექტირება |
| 13 | დაურეგისტრირებელი | | 2085 | B-6 | 445 | გადაფორმება |
| | | | | B-7 | 936 | გადაფორმება |
| | | | | დაურეგისტრირებელი | 705 | გადაფორმება |
| | რეგისტრირებული | | 27,337 | დაურეგისტრირებელი | 2086 | ჯამი 29423 |

## პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორია
- საპროექტო მიწის ნაკვეთები
- მიმდებარე მიწის ნაკვეთები
- საპროექტო შენობა ნაგებობის შესაძლო განთავსების არეალები
- საზოგადოებრივი სივრცეები
- პირობითი საპროექტო არეალი
- კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები
- დაურეგისტრირებელი ტერიტორიები 2 085 კვ.მ.
- თვითმმართველობისთვის გადასაცემი მიწის ნაკვეთები

**ნახაზის სახელწოდება**

საპროექტო მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა

| ფორმატი | მასშტაბი |
|---|---|
| A 2 | 1:700 |
| ფურცლები | ფურცელი |
| 86 | 79 |

N

**შენიშვნა**

**პროექტის მონაცემები**

პროექტის სახელწოდება

საცხოვრებელი კომპლექსი

მისამართი:

ქ.თბილისის გიორგი მდივანის ქუჩა

A3 Architects
Urban planning & architecture

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| დირექტორი | | |
| მთ. არქიტექტორი | | |
| არქიტექტორი | | |

12.2022

# ბ-6 და ბ-7 ნაკვეთები განაშენიანების შემდგომ გადაცემა საკუთრებაში ქალაქის თვითმმართველს




## პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორია
- საპროექტო მიწის ნაკვეთები
- მიმდებარე მიწის ნაკვეთები
- საპროექტო შენობა ნაგებობის შესაძლო განთავსების არეალები
- საზოგადოებრივი სივრცეები
- პირობითი საპროექტო არეალი

| ნახაზის სახელწოდება | შენიშვნა | პროექტის მონაცემები |
|---|---|---|
| მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა | | პროექტის სახელწოდება: საცხოვრებელი კომპლექსი |
| | | მისამართი: ქ.თბილისის გიორგი მდივანის ქუჩა |

| ფორმატი | მასშტაბი |
|---|---|
| A 2 | 1:700 |
| ფურცლები | ფურცელი |
| 86 | 80 |

N

A3 Architects
Urban planning & architecture

12.2022




## პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორია
- საპროექტო მიწის ნაკვეთები
- მიმდებარე მიწის ნაკვეთები
